ავტობიოგრაფია

მე, ნონა თოლორაია დავიბადე ,

1958 წლის 10 ნოემბერს, ქ.ზუგდიდში.

განათლება

1975 წელს დავამთავრე ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათის საშუალო სკოლა.

1980 წელს დავამთავრე თბილისის სამრეწველო-ეკონომიკური ტექნიკუმი სპეციალობით სამართალმცოდნეობა, კვალიფიკაციით იურისტი.

1992-1996 წლებში დავამთავრე ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით კვალიფიკაცია-იურისტი.

2010-2014 წლებში ვიყავი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი, მომენიჭა სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი (დისერტაციის თემა - აუცილებელი მოგერიების ცნება სისხლის სამართალში და მისი მართლზომიერების პირობები).

ტრენინგები/კურსები

1984 წელს გავიარე საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან არსებული კვალიფიკაციის ამაღლების კურსები.

1999 წელს საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრში გავიარე მოსამართლის თანაშემწის 3 თვიანი კურსი.

2000 წელს ჩავაბარე მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა.

2000 წელს ასევე გავიარე საქართველოს სამოსამართლეო სწავლების ცენტრში ტასისის მოსამართლეთა კვალიფიკაციის ამაღლების პროექტი.

2000 წელს გავიარე ნიდერლანდების ინსტიტუტი მრავალპარტიული დემოკრატიისათვის „გენდერული თანასწორობა“- სემინარი სერთიფიცირებით.

2012 წელს გავიარე „ქალთა მზარდი მონაწილეობის გაზრდა პოლიტიკში“- სემინარი სერთიფიცირებით.

2018 წელს გავიარე ნაფიც მსაჯულთა სასამართლო - სემინარი სერთიფიცირებით.

სამუშაო გამოცდილება

1980-1999 წლებში ვიმუშავე ზუგდიდის ჩაის კომბინატ „ოდიშში“ მთავარ იურისკონსულტად.

1999-2000 წლებში ვმუშაობდი ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანაშემწედ.

2000-2007 წლებში ვიყავი ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლე.

2009-2012 წლებში ვმუშაობდი სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებებში, მოწვეულ სპეციალისტად - სამართლის აკადემიური დოქტორი (ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტი, ევროპული აკადემია, შოთა მესხიას სახელობისზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამა).

2008 -2012 წლებში ჩართული ვიყავი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაში.

2008 წლის პირველი მაისის საპარლამენტო არჩევნებში N67 ოლქში ვიყავი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი - რესპუბლიკური პარტიიდან.

2012 წელს - საარჩევნო საორგანიზაციო სამსახურში - ქართული ოცნების- საოლქო შტაბების რეგიონალური კოორდინატორი სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონში და პარლამენტის წევრობის კანდიდატი პროპორციული სიით.

2012 წლის 22 დეკემბერს დავინიშნე სამგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურორის მოადგილის თანამდებობაზე.

2016 წლის 7 მარტიდან დღემდე ვმუშაობ სამეგრელო - ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის უფროსი პროკურორის თანამდებობაზე.

მყავს დედა და ძმა.

მშობლიურის გარდა ვფლობ რუსულ და გერმანულ ენებს. კომპიუტერულ პროგრამებს- word, excel, internet.

ჰობი - კითხვა, მოგზაურობა.

ელ.ფოსტა : [redacted]